2-16410/22
21-10-2022

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ

საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს NN 97/14, 29.11.2021; 116/3, 31.01.2022 და 160/1, 13.06.2022 გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა:

- საქართველოს პარლამენტის წევრების: მიხეილ სარჯველაძის, ისკო დასენის, ზაურ დარგალის, სავალან მირზოევის, გოგი მეშველიანის, ალუდა ღუდუშაურის, სოზარ სუბარის, ანტონ ობოლაშვილისა და სამველ მანუკიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ“ და თანმდევი 2 კანონის პროექტი (№07-3/114; 02.11.2021 - განხილვის ვადა 2022 წლის 26 ოქტომბრამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: სალომე სამადაშვილის, ბადრი ჯაფარიძის, დავით უსუფაშვილის, შალვა შავგულიძისა და ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ“ და თანმდევი 29 კანონის პროექტი (№07-3/158; 25.01.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 24 ოქტომბრამდე);

- საქართველოს პარლამენტის წევრების: ნონა მამულაშვილის, ანა წითლიძის, თეიმურაზ ჯანაშიასა და დევი ჭანკოტაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/216; 06.06.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 26 ოქტომბრამდე).

კომიტეტი აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას გეგმავდა მიმდინარე კვირაში, მათი განხილვისთვის დადგენილ ვადაში, თუმცა ამავე კვირაში პრიორიტეტულად განსახილველია საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე ასარჩევად წარმოდგენილი კანდიდატურების საკითხი, რის გამოც დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა ვერ მოხერხდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ვადების გაგრძელება **30 დღით**.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე